ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 04/1319, 04/1497, 04/1498

"27" იანვარი 2015 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა თქვენი 2015 წლის 23 იანვრის N05-1/15023124 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 23 იანვარი, N04/1319), 2015 წლის 26 იანვრის N06/15026809-44 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 26 იანვარი, N04/1497) და N05-1/150261470 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 26 იანვარი, N04/1498) წერილები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაძლევთ წერილობით თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა გლდანის რაიონის ტერიტორიაზე 2015 წლის თებერვლის თვის უფასო კვებით (უფასო სასადილოებით) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა სულთნიშვილის ქ.N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე საყრდენი კედლის დამჭერი კონსტრუქციების მოწყობის მიზნით სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის გზით, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 6954.53 ლარი;

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა სამგორის რაიონის ტერიტორიაზე 2015 წლის თებერვლის თვის უფასო კვებით (უფასო სასადილოებით) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

05-1/150234 770
06/150268 09-44

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 05-1/150231/24
27.01.15 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გლდანის რაიონის გამგეობა

2714985
10-21/15022355
22.01.2015

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გიორგი სოლომონია

ბატონო გიორგი,

მაქვს პატივი მოგესალმოთ, გამოვხატავ თქვენდამი პატივისცემას და გაცნობებთ: ვინაიდან „უფასო სასადილოებით“ მომსახურების მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140027808) პროცედურები შეჩერებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს მიერ, რადგან ტენდერში მონაწილე ერთ-ერთი პრეტენდენტის შპს „G.M.M.˜-ის მიერ გასაჩივრებულია მისი ტენდერიდან დისკვალიფიკაცია და სავარაუდოდ სატენდერო პროცედურები გადავა 2015 წლის თებერვლის თვეში, მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საქმიანობა (უფასო სასადილოს მომსახურება) დაიწყოს 2015 წლის 1 მარტიდან.

ზ/ აღნიშნულ გარემოებას ვაფასებთ, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და გთხოვთ დაგვრთოთ ნება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოგვეცეს საშუალება 2015 წლის თებერვლის თვეში „უფასო სასადილოებით“ მომსახურების შესყიდვა განვახორციელოთ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / გლდანის
რაიონის გამგეობა
ქალაქ თბილისის რაიონის გამგებელი

ზესიკ ქარცივაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

გლდანის რაიონის გამგეობა

№ 06-21/150331059
2.02.15.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუქის ქ. №8
ს/კ 204428510

ბატონო ლევან,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად გაცნობებთ, რომ გლდანის რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (ვინაიდან არ დასრულებულა სატენდერო პროცედურები - SPA140027808) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №04/1319, 04/1497, 04/1498 წერილით გლდანის რაიონის გამგეობამ მიიღო თანხმობა, აღნიშნული მომსახურების შესყიდვა 2015 წლის თებერვლის თვეში განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

დანართი: ქ. თბილისის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №04/1319, 04/1497, 04/1498 წერილის ასლი – 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გამგებელი ბ. ჭარცივაძე

ქ. თბილისი 0153, დ. სარაჯიშვილის ქ. #1ბ ტელეფონი (99532) 2318918
TBILISI.GOV.GE